ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარასკევი 1919 წ. აპრილის 11 № 80
წელიწადი მეხუთე

პარასკევი 1919 წ. აპრილის 11 № 80
ფასი თბილისში პროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

ღრმად დამწუხრებული ნატალია თომას ასული ნანობაშვილისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს ამა 12 აპრილს დიდუბის ეკლესიაში, დილის 10 საათზე, დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი პირველის ქალის და მეორეების დის, დაუვიწყარ

ნინო იროდიონის ასულის

ნანობაშვილის

სულის მოსახსენიებლად.

2292 1—1

ვერა სიმონის ასული და ვლადიმერ ვიქტორის ძე კლდიაშვილი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფას მამიდის

კნეინა სოფიო ნიკოლოზის ასულის

მიქელაძის

გარდაცვალებას. გასვენება ქ. ქუთაისში, 12 აპრილს.

1—2290—1

ელენე მიხეილის ასული და მიხეილ სიმონის ძე ლორთქიფანიძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფას მამიდის

კნეინა სოფიო ნიკოლოზის ასულის

მიქელაძის

გარდაცვალებას. გასვენება ქ. ქუთაისში შაბათს, 12 აპრილს.

2290 1—1

ივანე, გიორგი, მიხეილი ნიკოლოზის ძენი, მარია ალექსის ასული კვეზერელი—კოპაძენი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 11 აპრილს გადახდილი იქმნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი მათ დაუვიწყარ დისა, მულისა და მამიდისა

კნეინა ნატალია ნიკოლოზის ასულისა

ბარათაშვილის

ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 11 საათზე.

2—112—2

რესტორანი პარიზი რესტორანი

ქართულ კლუბის ქვეშ (სასახლის ქუჩა)

სრულიად ახლა გადაკეთებული

ცალკე მოწყობილ დარბაზებით

გაიხსნა 14 მარტიდან

მზადდება ყოველ დღე საგანგებო: საუზმე, სადილი, ვახშამი აზიზ კერძებით.

საუცხოვო საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული

საგანგებო ყავა-ხანა

◆◆◆ ფასები ზომიერია ◆◆◆

საამხანაგო, საზეიმო სადილ-ვახშმები ფას-დაკლებით.
(მსახურთ პროცენტები მოსპობილია)

სასმელები ყველა კუთხისა, ფირმისა და მარკისა.

25—32—20 პატივისცემით: ხ. გიგიბერია და ვარ. გვათუა.

ლექციების კურსები

მ ს ა ხ ი ო ბ

ელო ანდრონიკაშვილისა

1 ლი აპრილიდან გაიხსნება ლექციის კურსები მე-7-დე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) მისავალი ევანგულოვის ქუჩიდან სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. პირველი კარები.

ჩაწერა შეიძლება საღამოობით 6-დან 7 საათ.

25—39—14

პუშკინის ქუჩაზე, პუშკინის პასაჟში მაღაზია № 20

გაიხსნა სპეც. საათების, საიუველირო და საჩუქრთმო

სახელოსნო

ყოფილ სამხედრო მესაათის

მიხეილ ნიკოლოზის ძე გენკინისა.

ყოველი შეკვეთილი საქმე კეთდება საჩქაროდ, სუფთად და ხელმისაწვდომ ფასებში.

5—45—4

ი ყ ი დ ე ბ ა

ოსმალური აბრეშუმის თესლი

სულ ახლა მოტანილა

კონსტანტინოპოლიდან

მისამართი: პუშკინის ქ., ქარვასლა. კაფე—„გრეცია". იკითხეთ ა. პანაიოტი.

4—2277—4

12 აპრილი

„საქართველოს"

რედაქციის

მხატვრული საღამო

სურათები, საუკეთესო
შარჟები, არტისტიული
ახალი სანახაობა ქალების კონცერტი

პოლიტიკური და ლიტერატურული
თბილისი საღამოს კედლებზედ.

დიასახლისი: ქ-ნი ნინო გვაზავა.

კონსერვატორიის დარბაზი

17 აპრილი

ტიციან ტაბიძის

პოეზიის საღამო

ზელტერის და ხილეულობის

წ ყ ლ ი ს დამზადებელთა

საყურადღებოდ

ბორჯომის სახელმწიფო მამულის გამგეობამ

დაიწყო დამზადება ქიმიურად დაწმენდილ, მშრალ, უწყლო ნახშირბადისა... გამოსადეგია ბ-ნ დამზადებელთთვის წყლის გაზში გასატარებლად.

10 გირვანქიან ბალონებში 60 ატმოსფერამდე შეკუმშული გაზი ღირს 250 მ. (წმინდა წონა გაზისა უჭურჭლოდ). ჭურჭელი არ გაიყიდება; მასში მყიდველებს განსაკუთრებული გირაო გადაჰხდებათ. თუ ჭურჭელს მყიდველი წარმოადგენს, მაშინ გაზი გირვანქა 25 მანეთად დაეთმობათ.

შეკვეთა და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ბორჯომში, ბორჯომის სახელმწიფო მამულის მთავარ კონტორაში. 2—2281—1

მიწად მოქმედების სამინისტრო

აცხადებს, რომ 1919 წლის, აპრილის 16, დღის 12 საათზე სამინისტროს შენობაში (პეტრე დიდის ქ. № 32) საჯაროდ გაიყიდება სამინისტროს საწყობში (დამზადებული და დახერხილი ხე-ტყის მასალა 99.786 კვადრატული ვერშოკი 598.716 მან. შეფასებული მასალა დაყოფილია 14 გასაყიდ ნაწილად.

აღნიშნულ ხე-ტყის გაყიდვისა და გადაზიდვის პირობების გაგება შეიძლება იმავე შენობის სატყეო განყოფილებაში ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 9—3 საათამდე. 2—46—1

მედიცინის დოქტორი

ა. გ. მაჭავარიანი

ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) საველე ტელეფონი № 43.

60—2171—19

იყიდება

ველოსიპედი

ხელმისაწდომ ფასში.

მისამართი: ყაზბეგის ქუჩა № 5.

4—2291—1

ქართულ კლუბის დარბაზში

შაბათი, აპრილის 12

„საქართველოს"

რ ე დ ა ქ ც ი ი ს

დიდი მხატვრული საღამო

კონცერტი: ქ-ნნი: ვოლ-ლევიცკაია, სპანიოლი, გარტმანი. ბ-ნნი: სარაჯიშვილი (ტენორი), ინაშვილი (ბარიტონი), კაპელნიცკი (ვიოლონჩელი).

ქართულ სამუსიკო საზოგადოების კვარტეტი: ფიშბერგი, ბელსკი, მელამედ ბენდიცკი.

საბ ლეტო დივერტისმენტი

თ-დ ბექთაბეგიშვილის ხელმძღვანელობით:
ლასკარი, სემიონოვა, კუზნეცოვი, გრჟონცი, ბეგთაბეგიშვილი და რესნერი.

კონცერტის შემდგომ

ცეკვა და დიდი ნადიმი

დარჩენილი ბილეთები—თეატრის კასაში.

სუფრაზე ჩაწერა საღამოს დიასახლისთან ტელეფონი № 6--83.

საღამოს დიასახლისი 6. ლ. გვაზავა.

კვირას, აპრილის 13-ს

ძმურ ნუგეშში

დილის 10 საათზე დანიშნულია

წლიური კრება

თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოებისა.

განსახილველია წლიური ანგარიში, არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა. 2—უ—1

გორის ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის

საბჭო და გამგეობა

ამით აცხადებს კავშირის წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას, 13 აპრილს, დილის 11 საათზე კავშირის ბინაზე, დანიშნულია

წლიური საზოგადო კრება

განსახილველია: 1. სარევიზიო კომისიის მოხსენება; 2. განხილვა და დამტკიცება 1918 წლის ანგარიშისა; 3. ცალკე მოხსენება გამგეობის თავმჯდომარე ზ. ქიტიაშვილისა; 4. განხილვა და დამტკიცება 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა; 5. საბჭოს და გამგეობის იმ წევრთა არჩევა, რომელთაც წესდების ძალით ვადა გაუვიდათ; 6. სარევიზიო წევრთა და მათ კანდიდატების არჩევა; 7. მიმდინარე სა ითხები.

ის წევრნი, რომელთაც საწევრო გადასახადი არ ექნებათ მთლათ გადახდილი კრებაზე დაშვებულნი არ იქნებიან.

საბჭო და გამგეობა. 1—2284—1

თბილისის ქალაქის გამგეობა

ამით აუწყებს მოქალაქეთ, რომ ახალი ავადმყოფების მიღება იმათ გარდა, ვისაც სასწრაფოდ ესაჭიროება ქირურგიული დახმარება, დროებით შეწყვეტილია, რადგანაც სამკურნალოებში მოსამსახურეთა მომეტებულმა ნაწილმა სამსახურს თავი დაანება და ახალი მოსამსახურენი-კი არ არიან მიღებულნი.

(1—47—1)

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

შაბათს, 12 აპრილს, წარმოდგენილი იქნება

დირიჟორ სამოსუდის საბენეფისოდ

1.

ბატერფლეი

2.

მეფისტოფელი

(ერთი მოქმედება)

დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე.

კვირას 13 აპრილს დილით „დემონი", საღამოთი „ტრუბადური", 14 აპრილს „რიგოლეტო", 15 აპრილს „კარმენი", 16 აპრილს „ჟიდოვკა".

პირველ მაისიდან გაიხსნება რუსულ-ქართული საზაფხულო

საბავშო ბაღი

გიგინეიშვილისა

საგნები: ფრანგული ან ინგლისური (მშობლების სურვილის მიხედვით) ფიზიკური ვარჯიშობა, ცეკვა, პლასტიკა, მუსიკა, ხატვა და ყვავილების მოვლა.

მიიღებიან ბავშვები 4—9 წლამდის.

ჩაწერა და ცნობების მიღება 3 საათიდან 6 საათამდის.

ოლღას ქუჩა № 31. ბინა 2. საბავშვო ბაღი. ტელ. 2—04.

12—2289—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

გერმანელები აცხადებენ რომ პოზნანს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავენ.

გერმანიაში დიდი შიმშილობაა.

ლენინი უცხო სახელმწიფოთა სესხებს ჰსცნობს თუ მოკავშირენი დროებით ზავით შეეკვრებიან

კოლჩაკის არმია ვიატკას უახლოვდება.

კოველთან საბჭოთა ჯარი თავის 35 ზარბაზნით უკრაინელებს ტყვედ ჩაუვარდა.

შინ და გარედ.

წარსული ცოდვები ჯერ კიდევ აქტიურ ძალას წარმოადგენს საქართველოს მართველობის ზნესა და ხასიათში. მთავრობა და ჩვენი ქვეყნის ბედის მეუფლე პარტია წარსულ ოპოზიციონერობისა და ვიწრო კლასიურ პოლიტიკის ტრადიციას უფრო მიჰყავს, ვიდრე საერთო ეროვნული პოლიტიკის შემარიგებელ და კომპრომისულ საჭიროებას. სახელმწიფოებრივი შემეცნება და პროგრამა აქამდის ძალაში ვერ შევიდა. ბრძანებლობს და თვითმპყრობელობს პარტიული პროგრამა და შემეცნება.

ასე, მაგალითად, ცალმხრივად და ანტი-სახელმწიფოებრივად გადაიჭრა მიწის საკითხი. ერთ ქართველ მოქალაქეს უფასოდ და უსასყიდლოთ ჩამოერთვა საკუთრება, მეორეს, თუ მიწა სჭირია, მხოლოდ სასყიდლში მიეცემა. გაყიდულ მიწიდან აღებული სახელმწიფო ხაზინაში შედის. ამგვარად, ხაზინა და სახელმწიფო, ერთ მოქალაქეს ჰქურდავს, ერთბაშადართმევს იმ წყაროს, რომლის მიხედვით მას მთელი თავისი პირადი და ოჯახური ცხოვრება მოუწყვია; ამ წართმეულ მამულს შემდეგ სახელმწიფო ინაღდებს მეორე მოქალაქისგან, რომელსაც მიწის სიმშილი აქვს. აქ არ არის ზრუნვა, რომ სახელმწიფოს ყველა მოქალაქის ინტერესთა შეთანხმებით ეროვნული ენერგიისა და ნებისყოფის შემოქმედი სინტეზი გამოძებნოს და შეიქმნას შინ ერთი მთლიანი ეროვნული სიმტკიცე. აქ მოქალაქეთა მიმართ მთავრობა და სახელმწიფო გამოდის, როგორც მოძალადე გამძარცველი შუამავალი.

ეს ხდება იმიტომ, რომ წარსული სადემაგოგიო ოპოზიციონერობის დროინდელი დაპირებანი გარეგნულად მაინც იქმნან დაკმაყოფილებულნი.

ნაციონალური, სახელმწიფოებრივი ინტერესი და თვალსაზრისი უკუგდებულია.

ამნაირადვეა გადაჭრილი ნაციონალური აღებ-მიცემობისა და მრეწველობის საკითხიც. ზე-გავლენის და ძალადობის ყოველგვარი იარაღი მუშებსა და საპროფესიო კავშირებს ხელში მისცეს, ხოლო მეპატრონეთ და საქმის შემქნელ მწარმოებელთ ყოველგვარი თავდაცვის საშუალება მოუსპეს. ამ პოლიტიკის გამანადგურებელი შედეგები ყველას თვალწინ გადაეფინა, დამტკიცებას არ საჭიროებს. ყველაფერი მოიშალა, ძველი გაპარტახდა, ახალი არა იქმნება-რა. კრიზისია საქონლის, სიძვირეა ყველაფრის და ფულის ფასი უფრო და უფრო ეცემა.

ეს ხდება იმიტომ, რომ სადემაგოგიო ოპოზიციონერობის დროინდელი დაპირებანი ოდნავ მაინც გაუნაღდონ პარტიულ კლიენტებს.

აქაც ნაციონალური თვალსაზრისი და ინტერესი უკუგდებულია. საილუსტრაციოდ ესეც კმარა. ამგვარად, შინ მთავრობა და მართველი პარტია ხორცს ასხამს იმ მოქალაქობრივი განხეთქილების და შურისძიების აზრებს, რომელსაც საზოგადოებაში სთესდა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი უპასუხისმგებლო უკიდურესობის მოციქული იყო.

მთავრობისა და მმართველი პარტიის პოლიტიკა საგარეო ურთიერთობაში, მათივე ძველი, ყოველგვარ შინაარსს მოკლებული ინტერნაციონალურ ძმობა ერთობის და სოლიდარობის დაცვა-განხორციელების ცდას წარმოადგენს. ეს ისტერიკულად აჩემებული ფეტიში ადუნებს წინააღმდეგობის მორალურ და ფიზიკურ ენერგიას და ადვილად იწირავს ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესს. ასეთია ტენდენცია, სულიერი პრედისპოზიცია და შეგნებული პოლიტიკა ჩვენი მართველობისა. სხვა კატეგორიას, უკიდურეს გარდუვალობისა და საბოლოო განადგურების შიშის კატეგორიას ეკუთვნის სხვა და სხვა ფრონტზე წარმოებული შეიარაღებული ბრძოლა და ამიტომ ამას სხვანაირი დაფასება სჭირია. რაც ამ ინსტიქტისა და თავდაცვის ირაციონალურ ლოღიკით გამოწვეულ ბრძოლებს მოუცია, ჩვენს მთავრობას და მმართველ პარტიას იდეურად და მორალურად იგი ვერ დაუცვია.

სომხეთთან ომის ისტორია და ამ ომის სალიკვიდაციოთ ყველა და სხვა დროს დადებული ხელშეკრულებანი ამის დაურღვეველ საბუთებს იძლევა. რადაც გინდა დაჯდეს, ოღონდ სოლიდარობის ზნე და ხასიათი გამოიჩინონ. ეროვნული ინტერესების კონკრეტიზაცია, სახელმწიფოებრივ თვით შემოლობვის შეგნება და ხშირად დათმობის წილ სიცოცხლით მსხვერპლის გაღების მორალი ამ ხალხში ჯერ კიდევ ხორცშეუსხმელია.

უპასუხისმგებლო ოპოზიციონერობის დროინდელი უშინაარსო სოლიდარობის ქადაგებას უჩოქებენ და ხარკს აძლევენ.

ყოველი შეუმოწმებელი ცნობა და მოპირდაპირის ერთი-ორი ტკბილი სიტყვა, უკამათოთ ამ სოლიდარობის პოლიტიკის გასამართლებლად და საწარმოებლად არის ახსნილ-გამოყენებული. პოლოს ნუბარ-ფაშის პროგრამამ ამ ხალხს თავბრუ დაასხა და სოლიდარობის ფრაზეოლოგიურ შადრევანი აფრქვევინა. ამ გარემოებას გავლენა ჰქონდა იმ ჩვენთვის უაზრო და სამარცხვინო ხელშეკრულობაზე, რომელიც 28 თებერვლისა და 3 მარტის სხდომებზე დავსდევით სომხებთან. დღეს ირკვევა, რომ ნუბარ-ფაშას ყოფილი თბილისის გუბერნიის სამხრეთ ნაწილი სომხეთის საზღვარში შეუტანია...

სოლიდარობის გულისათვის დათმობის ფსიხოლოგია და პოლიტიკა უმართებულო პრეტენზიის ხალხთან მთელი ქართველი ერის სამკვიდრებელის გაფცქვნა გაქურდვის პოლიტიკამდე მიდის.

ამგვარად, შინ შურისძიების, დემაგოგიური დაპირების განაღდებისა და მოქალაქობრივ ბრძოლა-განხეთქილების პოლიტიკა განაგრძობს თავის მოქმედებას; გარეთ კი სოლიდარობისთვის დათმობის პოლიტიკა.

ამ ორი სისტემის შეკავშირება შინაც ასუსტებს საქართველოს და გარეთაც. სახელმწიფოს შენობა განმტკიცების სანაცვლოდ იზარება და იძარცვება.

პრესსა

„ერთობა“ და სარწმუნოების საკითხი.

„ერთობაში“ დაბეჭდილია წერილი ბ-ნ იუნუს წულუკიძის, რომლიდგან ჩვენ მოგვყავს ადგილები:

ქართველ მუსულმანებს სარწმუნოება მიაჩნიათ თავის წმინდათა წმინდათ. მაშასადამე ამ მხარეს მეტად ფრთხილად უნდა მოექცეთ. მასსა, რომელიც სარწმუნოებაზეა დაყრდნობილი, მას არა აქვს კლასიური თვითშეგნება და განვითარება, ძნელად ითვისებს ახალს. რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ თავის დეკლარაციაში წარმოსთქვა, ის დაუყონებლივ უნდა იქნეს ცხოვრებაში გატარებული. თუ ეს ადრე არ გატარდა, მაშინ შეიძლება ჩვენმა პოლიტიკამ აღარ ივარგოს, იმიტომ რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი და სამშობლოს მოღალატენი და აგრეთვე ჩვენი დემოკრატიის მტერნი ისარგებლებენ.

ოსმალეთის აგენტები დაიწყებენ პროვოკაციას, როგორც ეხლა ეწევიან ახალციხიდან გამოქცეული ოსმალეთის აგენტები, რომლებიც მოდიან აჭარაში და ბათომში და ხალხში ხმას ავრცელებენ, ვითომ საქართველოს ჯარმა ააწიოკა ახალციხის ქართველი მუსულმანები და მათ სარწმუნოება შეულახაო. რა თქმა უნდა ეს პროვოკაცია ხალხმა არ დაიჯერა, მაგრამ ხალხის მტრები არ ისვენებენ: რუსი, სომეხი, ადერბეიჯანის და ოსმალეთის აგენტები ეწევიან პროვოკაციას.

აქაური ბეგები, აღები და ეფენდები საზოგადოებრივ ინტერესებს თვით პირად ინტერესებს ანაცვალებენ, მათთვის მხოლოდ გამოსადეგი იყოს და ყოველგვარ სისაძაგლეს ჩაიდენენ. საწყალ ხალხს დაუწყებენ სარწმუნოებაზე ლაპარაკს და დაღუპვის კარამდე მიიყვანენ. ეხლა კი უფრო და უფრო შეიგნო ხალხმა და ამბობენ: ესენი ყველა ჩვენ ზურგზე თამაშობენო. ხალხში შეიძლება მუშაობა, მათში არის ისეთი ძალა, რომელზედაც დაყრდნობა შეიძლება.

საკითხავია ამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ კიდევ გაიმეორებს თუ არა „ერთობა“ თავის დოგმატიურობას და მარქსის სახელით ხელს ააღებინებს მაჰმადიან ქართველებს თავის სარწმუნოებაზე?

როცა ამას ლაპარაკობდა ოპოზიცია „ერთობა“-ს შეეძლო კიდევ ოხუნჯობა, მაგრამ, როცა თვითონ მაჰმადიანი ქართველი ლაპარაკობს ასე მორიდებით ამას უფრო გაუწევს ანგარიშს „ერთობა“.

„ერთობის“ რეფორმატორები

თითქო ბ. იუნუს წულუკიძის საპასუხოდ „ერთობა“ ხელმეორედ ეხება ეკლესიის და სახელმწიფოს დამოკიდებულებას. გაზეთი იმეორებს თავის ნაჩვევ ტრაფარეტებს, მხოლოდ ეხლა მეტ კურიოზს იჩენს, გაზეთის აზრით სარწმუნოებას არაფერი კავშირი არ აქვს სახელმწიფოსთან და მის ორგანიზაციასთან. **მას არაფერი დამოკიდებულება არ აქვს მეცნიერებასთან — უბრალო ცოდნასთან(?)...**

ეს რო მართლა ასე იყოს და ამ საკითხს ცოდნასთან არაფერი დამოკიდებულება არ ჰქონდეს, მაშინ საკითხავია, როგორ მივიდნენ თავიანთ უარყოფით დასკვნამდი „ერთობის“ ვოლტერები?

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს იმ გაუგებრობას, რომელიც ეხლა იბადება სოფლებში ამ ნიადაგზე ღვდელმოქმედების შესრულების დროს და როგორც „ერთობა“ გადმოგვცემს ზოგან თავპირის მტვრევამდისაც მიდის და ეკლესიებს ჰკეტენ...

„ერთობა“-ს თვითონ ვერ გამოუნახავს საშუალება ამ საკითხის მოსაწესრიგებლად და წერილს შემდეგი რჩევით ათავებს:

„საჭიროა სოფლებმა თვითონ მოაგვარონ სარწმუნოების საქმე; საჭიროა ითათბირონ და გამოიმუშაონ ის ზომები, რომელიც გაადვილებს იმ აქტის ცხოვრებაში გატარებას, რომელიც გამოიხატება ეკლესიის და სახელმწიფოს განცალკევებაში...“

ძალიან გულუბრყვილობაა „ერთობის“ მხრივ თუ მართლა ჰგონია, რომ იმ საკითხს, რომელიც ამდენათ არც ერთ სახელმწიფოში არ ყოფილა გადაჭრილი, ქართველი სოფლელი გლეხები თავიანთ ყრილობაზე გადასჭრიან.

ამ რჩევას შედეგად მხოლოდ ის მოყვება, რომ თავპირის მტვრევას უფრო ლეგალური ხასიათი მიეცემა და არ ვიცით ეს მორგუნის სინდისს დაამშვიდებს, თუ „ერთობი“-სას...

სასამართლოს უწყებაში

გაეროვნების საქმე ჩვენს სახელმწიფოში უკუღმა დატრიალდა!

დაწესებულებათა ნაციონალიზაცია აქამომდე, თუმცა ზლაზნით და მეტის მეტი ნელის ტემპით, მაინც სისრულეში მოჰყავდათ, მაგრამ დამფუძნებელ კრების მიერ სამინისტროების „რეკონსტრუქციის“ შემდეგ ეს პროცესსი არამც თუ მოდუნდა, ზოგიერთ დაწესებულებაში კიდევაც შეჩერდა და ცხადი დენაციონალისტური მიმართულება მიიღო.

იუსტიციის სამინისტროს ახალ მეთაურებსაც მიზნად დაუსახავთ status pno in ante-მდე მიიყვანონ მათდამი მინდობილი უწყება. უნდა აღინიშნოს პირუთვნელად, რომ ყოფილი იუსტიციის მინისტრი პირნათლად და ნამდვილ სახელმწიფოებრივ შეგნებით შეუდგა სამინისტროს ცენტრალურ აპარატისა და სასამართლოების მოწყობას ისე, რომ ამ დაწესებულებათა ფუნქციები რესპუბლიკის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ყოფილიყო. ამ მიზნის მისაღწევად ყოფილი მინისტრი მუყაითად მოღვაწეობდა და ერთგვარი ნაყოფი მისმა მხნე მოქმედებამ კიდევაც გამოიღო: ნაციონალიზაციას სასამართლო უწყებაში მხოლოდ განვითარება და დამთავრება ესაჭიროებოდა.

იუსტიციის ეხლანდელ ხელმძღვანელებიდან ჩვენ ამ სფეროში ბევრს არ მოველოდდით, მაგრამ იმის იმედი კი გვქონდა, რომ დაწყებული გაეროვნება დაზოგვილი იქნებოდა იმათგანაც კი. ჩვენს იმედს საფუძველი არ აკლდა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ყოფილ პარლამენტის და დღეს დამფუძნებელ კრების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის გავლენიან წევრებს სხვა და სხვა კომისიებში და თვით პლენუმშიაც არა ერთხელ აღუნიშნავთ სასამართლოების **დაუყოვნებლივი ნაციონალიზაციის საჭიროება და იუსტიციის მინისტრის ზომები ამ შემთხვევებში მათგან ყოველთვის მოწონებული ყოფილა.**

იუსტიციის სამინისტროს დღევანდელი ხელმძღვანელების მეთოდები არამც თუ ეწინააღმდეგება მთავრობის კათეგორიულ დადგენილებას და ყოფილ მინისტრის ცირკულიარს, პირიქით ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს პირდაპირ მიმართული ყოფილიყვნენ დაწყებულ გაეროვნების მოსასპობად.

ახალი კურსი პირველადვე აღინიშნა იმ ფაქტით, რომ სასამართლოს პასუხისმგებელ და მნიშვნელოვან თანამდებობაზე უკან დააბრუნეს რამდენიმე მოხელე, წინად დათხოვნილნი ახალ პირობებისათვის შეუფერებლობის გამო.

საოლქო სასამართლოსა და პალატის შორის მომხდარი აშკარა უთანხმოება უკანასკნელ დღეებში ერთი ნაფიცი ვექილის გადამეტებულ ჰირვეულობის გამო, ნათელ ჰყოფს ჩვენთვის, რომ სასამართლო უწყებაში ახალი „შუქი“ შენათებულა და მას გაქართულება ჯერჯერობით კიდევაც უნაცვლია...

„ობიექტიურ პირობებში“, ჩვენის აზრით, არაფერი მომხდარა ისეთი, რომ ერთხელ აღებული სალი სახელმწიფოებრივი გეზი ასე რადიკალურად დაუნდობლად შეცვლილიყოს.

იქნებ, ცვლილება ხდება მხოლოდ იმის დასამტკიცებლად, რაც ასე გასაგებად ამბეჭდილი იყო სამინისტროს ერთ ერთ ეხლანდელ მეთაურის მედიდურ წერილებში გაზეთ „ბორბა“-ში ამ რამდენიმე ხნის წინ!?

ჩვენ-კი ვფიქრობთ, რომ „პერსონების“ გამოცვლით სახელმწიფოს კურსი არ უნდა ირღვეოდეს...

ეს მით უფრო სახიფათოა გარდამავალ ხანაში, როდესაც სახელმწიფო ცხოვრების ყოველ დარგს ახალი საფუძველი ეყრება და, მაშასადამე, დაწყებული საქმეც გამაგრებას და დაგვირგვინებას ითხოვს.

საწინააღმდეგო მიმართულება სახელმწიფოს ვნების გარდა არაფერს არ მოუტანს.

რ. ინგილო

სად არის ეროვნული ძალები

დღიდან ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა არ ყოფილა გადადგმული ისეთი რადიკალური ნაბიჯები, რაც უზრუნველჰყოფდა ქართველი ერის ყველა ცოცხალ ძალების გაერთიანებას.

მართალია, ჩვენი მთავრობა შეეცადა ამას, მაგრამ ქართული საზოგადოებრივი აზრიცა და მმართველი წრეების აზრიც სულ სხვაგან ეძებდნენ მათ. ჩვენი მსოფლმხედველობა და საალმშენებლო ფსიხოლოგია ისე მოეწყო იმ თავიდანვე, რომ ცოცხალ ძალთა დიფერენციაცია პარტიულ დიფერენციაციის სინონიმად იქცა. აქედან ცხადია, რომ ცოცხალ ძალთა გაერთიანებაც პარტიათა გაერთიანებით დაიწყო, რომლის გაერთიანების ხანგრძლივობის უნარმა დაუყოვნებლივ იჩინა თავი, როგორც კი მივაღწიეთ გამაერთიანებელ იდეას — საქართველოს დამოუკიდებლობას.

გამოვიდა ისე, თითქოს დამოუკიდებლობის მიღწევით ქართველ ერის ეროვნული იდეა უკან მოექცა და გაერთიანებული ეროვნული ძალები (პარტიები) კვლავ დაიქსაქსნენ.

იმას კი არავინ მიაქცია ყურადღება, რომ ქართველი ერი ისეთ ელემენტებს შეიცავს თავის ორგანიზმში, რომელთა მარტო პარტიულ ფარგალში მოთავსება არ ნიშნავს - მის უზრუნველყოფას სახელმწიფოსათვის.

ჩვენ ვგულისხმობთ ყველა არა მართლმადიდებელ ქართველებს. ბევრი დაწერილა ამათ შესახებ, ბევრი მგრძნობიარე და წრფელი სიტყვა თქმულა ურთიერთშორის, ბევრი დაფიცება მომხდარა ურთიერთ ძმობაში, ერთგულებაში. ბოროტ-მოქმედება იქნებოდა თუნდაც ერთ წუთს გვეფიქრა, რომ ეს სიტყვები, წერანი და ფიცი გულწრფელად არ ყოფილიყოს ამოხეთქილი ქართველი ერის გატანჯულ სულიდან. პირიქით მგრძნობიერობა და ურთიერთისადმი გულისტკივილი გადაჭარბებულიც კი იყო. მაგრამ ეს ხომ საკმარისი არ არის ეროვნულ ძალთა გაერთიანებისათვის!

მშრალ თეორიასა და მომეტებულ გრძნობებს არასოდეს არ უთამაშნიათ ესეთ დიდ კითხვებში გადამჭრელი როლი. ერთიც და მეორეც კეთილშობილი მასალაა ნამდვილი, ცოცხალი საქმის გაკეთებისათვის და აი სწორედ ამაშია დიდი ნაკლი და დანაშაულიც სხვა და სხვა მიმართულების რჯულის და აზროვნების ქართველებისა. ვერ გამოვიყენეთ ვერც დამუშავებული მეცნიერული თეორია, ვერც მომეტებული გრძნობანი და ვერც ინსტიქტიური სწრაფვა ურთიერთისადმი მართლმადიდებელ, კათოლიკე, მუსულმან და და ისრაელ ქართველებისა.

დამნაშავის ძებნა შორს წაგვიყვანდა და არც საქმეს უშველის. რადგანაც სინტეზი და ცენტრი საქართველოსი დღეს მისი მთავრობაა, ამიტომაც მან უნდა აიღოს თაოსნობა იმ შეცდომათა გამოსწორებისა, რომელიც მრავალ მიზეზთა გამო ქართულ საზოგადოებრივ აზრს თავის სურვილის გარეშე ჩაუდენია.

ამისთვის მცირე რამ არის საჭირო. გაცნობა და შესწავლა ყველა იმ თავისებურობათა, განთვისებათა და სპეციფიურებათა, რომელიც უთუოდ არსებობს სხვა და სხვა სარწმუნოების ქართველთა შორის. ცხადია ეს არის აღმოცენებული სარწმუნოებრივ ნიადაგზე, მაგრამ დღეს სარწმუნოება არ არის ისეთი ფაქტორი, რომ ეროვნულ ძალთა გაერთიანებას ხელი შეუშალოს, თუ წარმოებული იქნება საკმაოდ ფაქიზი და ელასტიური პოლიტიკა.

ამასთანავე ერთად უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ყველაფერს, ყველგან და ყოველთვის პარტიული საზომით უდგებით. ეს დიდი დანაშაულებაა არა მარტო მართლმადიდებელ, გინდ არა მართლმადიდებელ ქართველთა წინაშე, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრივობის წინაშეც.

ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ თუ წარსული პირობები მართლაც შეუძლებელ ჰყოფდენ პარტიების გარეშე გაერთიანებას, დღევანდელი პირობები პირიქით ისე არის მოწყობილი, რომ უნდა მოხდეს გაერთიანება ქართულ ეროვნულ ძალებისა არა პარტიებიდან, არა კლასებიდან, არამედ წმიდა ეროვნული ერთიანობის ნიადაგზე ყველა იმ ქართველთა ჯგუფებიდან, რომელნიც ისტორიულმა უკუღმართობამ ისე განასაკუთრა საქართველოს მართლმადიდებელ ცენტრისგან. საქმე ისაა, თუ ვინ გამოიჩენს საამისო თაოსნობას. ცხადია უფრო სრული იქნებოდა გაერთიანების კითხოვა, თუ ამის ინიციატივას თვით ჩვენი მთავრობა თავს იდებდა.

— ი. ხანანაშვილი.

მთავრობის წრეებში

სამღვთო სჯულის მასწავლებელთა სალიკვიდაციო.

გადაიდოს 10 მილიონ. ფონდიდან 27,000 სამღვთო სჯულის მასწავლებელთა სალიკვიდაციო ჯილდოსათვის.

ქართ. უნივერ. არქეოლოგიურ კომისიისათვის.

დაევალოს განათლების მინისტრს ახლო მომავალში წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას კანონ-პროექტი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილ კავკასიის მუზეუმის ეგრედ წოდებულ არქეოლოგიურ კომისიის ქართულ უნივერსიტეტთან, მათთვის საერთო დარგებში გაერთიანებისა 50.000 მან. დახმარების აღმოჩენის შესახებ.

სახელმწიფო გამომცდელ კომისიაში სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

დაარსდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან 3 სახელმწიფო გამომცდელი კომისიები. საისტორიო-საფილოლოგო, სამათემატიკო და საპროვიზორო.

თბილ. მე-8 გიმნაზიის მოსამსახურეთათვის.

გადაიდოს 10 მილ. ფონდიდან 16,638 მან. თბილისის მე-8 გიმნაზიის მოსამსახურეთა თებერვლისა და მარტის ჯამაგირების დასაკმაყოფილებლად.

რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა ხარჯებიდან განთავისუფლება.

მოწონებულ იქნას მოხსენება ფინანსთა მინისტრისა რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა შესახებ საქართველოში. განთავისუფლებულ იქმნას ჯარიმისაგან საქართველოს საზღვრებში მომქმედი ხსენებულ დაწესებულების განყოფილებანი.

უკრაინის ელჩი მთავრობის თავმჯდომარესთან

დამოკიდებულება.

შაბათს 5 აპრილს მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობის დროებით ამსრულებელ ევ. გეგეჭკორს ესტუმრა უკრაინის დიპლომატიურ მისიის თავმჯდომარე კრასნოვი, რომელმაც წარუდგინა მას უკრაინის სახალხო რესპუბლიკის დირექტორიის მიერ მიღებული რწმუნებულების სიგელი. შემდეგ გაიმართა საუბარი დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე. აგრეთვე დიდი აზრთა გაცვლა გამოცვლა გამოიწვია, უკრაინა-საქართველოს შორის დამოკიდებულების განხილვამ.

ბრძოლის ველზე

ბრძოლის ველზე მდგომარეობა უცვლელია. დამატებითი ცნობებით თათართა ყველა ცხენოსან და ქვეითის ნაწილების სარდალი მუსაკიევი სოფელ დალურის მცხოვრებლებმა მოჰკლეს. არც ფოცხოველები და არც შავშელები მათ გამოსვლებში მონაწილეობას არ იღებენ ახმეტელაძე აბაშიძე მოჰკლეს მისთვის რომ ფოცხოველებს ამხედრებდა არტაანის ბრბოთა წინააღმდეგ. ჩვენ ჯარს ხალხი მორჩილებას უცხადებს. თათრების ბრბოები არტაანისაკენ ილტვიან.

ქრონიკა

◆ **საქართველოს საბაჟოები.** 7 აპრილს ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საბაჟოს წარმომადგენელთა თანდასწრებით შესდგა კრება, რომელმაც განიხილა საბაჟოებისა და საბარგო სახალხო მატარებლების საზღვართან გადმოსვლა-გადასვლის საქმე. კრებამ დაადგინა: გადიდებულ იქმნას ნატანებ-სალადელო-სადახლოს საბაჟოთა მოხელეების რიცხვი. 2) აღნიშნულ ადგილებში დაარსდეს საბაჟო არტელი ბარგის შესაკრავად. 3) მოეწყოს თბილისში პუნქტი საბაჟო ოპერაციებისათვის. 4) საბაჟოებში იშინჯებოდეს მხოლოდ ის ბარგი, რომელნიც აღნიშნულ ადგილებში იგზავნებიან. დანარჩენი ბარგი უნდა იგზავნებოდეს თბილის ფოთის საბაჟოებში. კრებამ სასურველადა სცნო საზღვრების სანაპირო სადარაჯოები ფინანსთა სამინისტროს დაემქვემდებაროს.

◆ **შუამდგომლობა.** თბილისის მილიციის უფროს ურუშაძემ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა თანამდებობიდან გაანთავისუფლონ.

◆ **უკრაინის დიპლომატიურ მისიაში.** უკრაინის დიპლომატიურ მისიის (საქართველოში) თავმჯდომარედ დაინიშნა ი- ი. კრასნოვი, რომელიც უკრაინიდან კიდეც ჩამოვიდა.

◆ **სამძიმრის დეპეშა ნ. ნ. ჟორდანიას.** მთავრობის თავმჯდომარემ უკრაინის დიპლომატიურ მისიის თავმჯდომარისაგან შემდეგი შინაარსის სამძიმრის დეპეშა მიიღო: „თქვენი პირადი უბედურება უბედურებაა მთელი ქართველი ერისა. უკანასკნელის მწუხარება იმავე დროს მწუხარებაა უკრაინისა. გთხოვთ მიიღოთ უკრაინის ხალხიდან გულ-წრფელი მწუხარება. ჩვენ გვრწამს, რომ ძვირფას შვილთა თავდავიწყებულ მუშაობით საქართველო შესძლებს თავის დიდი ხნის ნატვრის სინამდვილედ ქცეულ დამოუკიდებლობის განმტკიცება-შენარჩუნებას.

◆ **რუსთა ეროვნულ საბჭოს თბილისის** ქალაქის საბჭოს სასურსათო განყოფილებამ იაფ ფასიან პურის მიცემაზე უარი უთხრა, რადგან რუსთა ეროვნული საბჭო საქართველოს რესპუბლიკის დაწესებულება არ არის.

◆ **ბათომ ნატანების რკინის გზა.** გუშინ ჩქარი მატარებლით ბათომ ნატანების რკინის გზის ჩასაბარებლად გაემგზავრა გზათა უფროსის კანდელაკის თავმჯდომარეობით კომისია, რომელსაც შეადგენს რკინის გზის ყოველ დარგის უფროსი და ინგლისის წარმომადგენელი ინჟინერი ელკინსი.

◆ **სასამართლოში.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით სასამართლო უწყების ყველა დაწესებულებებში სამოქალაქო საქმეები უნდა სწარმოებდნენ სახელმწიფო ენაზედ. ამის თანახმად იუსტიციის მინისტრმა ცირკულიარი გამოსცა, რათა მთავრობის დადგენილება არ დარღვეულიყო. ამ დღეებში ნაფიც ვექილ რობლინმა საჩივარი შეიტანა რუსულად ოლქის სასამართლოში, უკანასკნელმა თანახმად მთავრობის დადგენილებისა და მინისტრის ცირკულიარისა საჩივარი უკანვე დაუბრუნა რობლინს, რომელმაც ეს საქმე გაასაჩივრა სასამართლო პალატაში, რომელმაც უკანონოდ იცნო ოლქის სასამართლოს მოქმედება და აიძულეს რუსულად დაწერილი საჩივარი უკანვე მიეღოთ.

◆ **აღდგომას ჯარის საჭმელის გასაუმჯობესებისათვის.** მთავრობის დადგენილებით ჯარის კაცთა და გვარდიელთა საჭმელის გაუმჯობესებისათვის აღდგომის პირველ დღისათვის, დაიხარჯოს თვითეულ კაცზე ვინც ფრონტზე იმყოფებიან, ათ-ათი მანეთი, ხოლო რომელნიც ფრონტზე არ იმყოფებიან ხუთ-ხუთი მანეთი.

◆ **ქალაქის სასკოლო კომისიაში.** ქალაქის სასკოლო კომისიამ მუშაობა დაიწყო. შეიმუშავეს სასკოლო კომისიის კონსტრუქცია და კომპეტენციის გეგმა.

◆ **სკოლათა ინსპექტორად.** სკოლათა ინსპექტორად მოიწვიეს მელ. რამიშვილი.

◆ **გაფიცული მასწავლებლები.** ქალაქის სკოლათა გაფიცული მასწავლებლები მუშაობას უკვე შეუდგენ.

სხვა და სხვა ამბები

◆ **მკვლელობა.** 9 აპრილს საღამოს 8 ს., სისხლის სამართლის მილიციონერ ი. სიხარულიძემ გორის ქუჩაზე რევოლვერით მოჰკლა გ. მასკალოვი. მიზეზი გამოურკვეველია, მილიციონერი დაატუსაღეს.

◆ **თავდასხმა.** 9 აპრილს ღამის 11 ს., მოსკოვის ქუჩაზე მიმავალ შულტოკს 3 შეიარაღებულ ბოროტ'განმზრახველმა სიკვდილის მუქარით 7000 მ. ფულად, ოქროს საათი და სხ. ნივთები წაართვეს.

◆ **მომღერალ ლეჟავას დაჭრა.** 9 აპრილს საღამოს 11 ს., გრიბოედოვის ქუჩაზე მიმავალ მომღერალ დ. ლეჟავას დახვდა რამდენიმე შეიარაღებული პირი და მოსთხოვეს ფული. ლეჟავა გაუძალდა, რისთვისაც ბოროტ განმზრახველებმა მძიმედ დასჭრეს ხანჯლით.

◆ **სამკითხველოსათვის.** ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებამ ჩუღურეთის ნ. ჟორდანიას სახელობის სამკითხველოსათვის 1000 მანეთი გადასდო.

სამხატვრო ქრონიკა.

— **ქართველ მხატვართა გამოფენა.** აპრილის დამლევს „დიდების ტაძარში“ ქართველ მხატვართა საზოგადოების მიერ გაიმართება თანამედროვე ქართულ მხატვრობისა და ქანდაკების გამოფენა. საზოგადოება მოუწოდებს ყველა ქართველ მხატვრებს მიიღონ მონაწილეობა განზრახულ გამოფენაში. გამოფენის პირობები: 1) სურათები მიიღება 22 აპრილამდე, 2) სურათები უნდა გამოიგზავნოს მისამართით: თბილისი, გოლოვინის პროს. სახლი № 13, „დიდების ტაძარი“, ქართველ მხატვართა საზოგადოების სახელზე. სურათები მიიღება ყოველ დღე, საღამოს 4—7 საათამდე, კვირა-უქმე დღეს კი დილის 11—2 საათამდე. თბილისს გარედ მცხოვრებ მხატვრებს შეუძლიათ სურათები ფოსტით გამოგზავნონ, 3) სურათი უნდა იყვეს მოთავსებული ჩარჩოში, და საზოგადოდ უნდა ჰქონდეს გარეგნული წესიერი სახე. 4) სურათის ზურგზე უთუოდ უნდა იყვეს აღნიშნული მხატვრის სახელი, გვარი და მისამართი, სურათის სახელწოდება, წელიწადი სურათის დახატვისა და მისი ფასი. 5) საზოგადოების სახელზე უნდა გამოიგზავნოს დაზღვეული ბარათი, სურათების რიცხვის, სახელწოდების, თითეულ სურათის ფასის და სხვა ცნობების აღნიშვნით. 6) თანახმად ქართ. მხატვ. საზოგ. წესდებისა გაყიდულ სურათების თანხის 10 პროც. გადითვლება საზოგადოების სასარგებლოდ.

ძირითადი კავშირი

მუსიკასა და ცხოვრებას შორის

მუსიკა ჰმოქმედობს პირდაპირ ადამიანის გულზე, გულის სიცოცხლეზე, სისხლის სადინელ მილების შეკუმშვაზე და საზოგადოდ ამ მილების სისტემაზედ; ამასვე ამტკიცებს მრავალი ცდა ყოველ პირუტყვის შესახებაც; აქვე უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ზოგიერთა მკლევარი ისე შორსაც კი მიდის, რომ ამტკიცებს, ვითომ პირუტყვსაც უეჭველი მუსიკალური გრძნობა მოეპოვებაო. სხვათა შორის,—ეს კითხვა მეცნიერულად ზედმიწევნით არის გამოკვლეული ექ. ლარიონოვის დისერტაციაში „О корковыхъ центрахъ слуха,“ სადაც მკითხველს შეუძლია გაეცნოს ამ საგანს.

საფრანგეთის რესპუბლიკის მეექვსე წელს პარიზის ერთ ერთ ზოოლგიურ ბაღში აკადემიკოს—მსწავლულებმა ესე გამოსცადეს მუსიკის ზედგავლენა ცხოველებზე: ორ სპილოს—ძუსა და ხვადს დაუწყეს დაკვირვება იმ დროს, როცა იქვე ახლო დამალული იყო ორკესტრი და უკრავდა სხვა და სხვა ჰანგს. ძუ სპილოს, ჯერ ისევ 16 წლისას, მაშინვე შეეტყო უეჭველი ნიშნები აღტყინებისა და სურვილისა, რაიცა ამ ხანში სპილოსთვის ბუნებრივ მოვლენად არ არის ეს მიჩნეული. ხოლო ხვადი სპილო უფრო ღირსეული წარმომადგენელი აღმოჩნდა თავისის წლოვანობისა და იგი მხოლოდ მაშინ მოვიდა მუსიკით აღტაცებაში, როდესაც სარევოლიუციო სიმღერის ხმა გაიგონა. მაგალითები ბევრია იმისი, თუ რა მოქმედება აქვს მუსიკას პირუტყვებზედ. ამ საგანზე საყურადღებო ცნობები მოჰყავს პროფესსორს დაგელს „გავლენა მუსიკისა პირუტყვებზედ“-ში, აკა დემიკოსს თარხანოვს „სმენა ცხოველებისაში“ და სხვა მრავალს მეცნიერს.

შორს რომ არ წავიდეთ ამის მაგალითების საძებნელად, აიღეთ თუნდაც ჩვენი გლეხკაცის სიმღერა გუთანზედ, კალოზედ, ურემზედ. ალბათ იგი ინსტიქტიურად რაღასაც ჰგულისხმობს თავის სიმღერასა და იმ ცხოველებ შორის, რომლებსაც ის უმღერს. ყველას მოგვისმენია და გულს ჩაგვწვდომია ტკბილი ღიღინი მეურმისა,—და ამავე დროს ისიც გვინახავს—თითქოს ამ ღიღინით დამთვრალი ხარი და კამეჩი რა ფეხ-აკრეფით, წყნარად, დაღონებულ-—დამშვიდებული ეზიდება თავის ტვირთს. მოგვისმენია აგრეთვე „გუთნური“-ს გუგუნი, ხოლო აქ კი ისევ ის მუშა საქონელი უფრო ფხიზლად, თამამად და თითქოს ტვირთ შეუმჩნევლად ეწევა ჰანგსა;—და რას ნიშნავს ყველა ეს, თუ არა სიმღერის გავლენას ცხოველებზედ.

ჩვენი ცხოვრებიდან მრავალი ამისთანა მაგალითი შეგვეძლო მოგვეყვანა, მაგრამ დაუგდოთ ყური ისევ მკვლევარებს და ნასწავლ ხალხს. ცნობილი დოქტორი კელლოკი თავის თხზულებაში „ფსიხიურ გავლენათა მნიშვნელობა“-ში ერთს ამისთანა ამბავს მოგვითხრობს: ერთი ჩემი მეგობარი ხშირად მოგზაურობდა ზღვაზედ და ამ მოგზაურობის დროს მუდამ ემართებოდა ეგრედ წოდებული ზღვის ავადმყოფობა—გულის რევა ხომალდის ქანაობის გავლენითაო. იმ ხომალდზედვე განუყრელად იყო ხოლმე ერთი უსინათლო სკრიპკის დამკვრელი მემუსიკე; და აი, მას უკან, როცა კი ჩემი მეგობარი სკრიპკის ხმას გაიგონებდა, უეჭველად გულის რევა უნდა ეგრძნო, თუნდაც, ხომალდის მაგიერ, თავის ოთახში ყოფილიყო მოსვენებითაო.

ეს მაგალითი და კიდევ არა ერთი სხვა ამისთანა, ცხადათ ამტკიცებს მუსიკის პირდაპირს და, სწორედ მოგახსენოთ, ფრიად უსიამოვნო გავლენას ადამიანის აგებულობაზედ. ამ მაგალითით კი ისა მტკიცდება, რომ მისი საფუძველია ის საზოგადო კანონი, რომ არც ერთი გრძნობა, არც ერთი ემოცია ისე არ გაივლის, რომ ადამიანის აგებულობის სხვადასხვა ნაწილს არ დააჩნდეს, ან არ შეეხოს. მაშ როგორც ეტყობა, სამუსიკო ნიჭი მოთავსებულია ნერვების ცენტრში ისევე, როგორადაც ადამიანის სხვადასხვა ნიჭი და გრძნობა. უკვე დამტკიცებულია, რომ, როცა კაცს უნარი მეტყველებისა თითქმის დაკარგული აქვს, ბლუა, ან გონებით ბრჯგუ, შესაძლოა მუსიკალური ნიჭი მაინც შერჩენოდეს;—და ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ეს ნიჭი ზოგად ფსიხიკაზედ არ არის დამოკიდებული. ზემოდ ხსენებულ ექიმს ლარიონოვს ერთი ასეთი მაგალითი აქვს მოყვანილი: ბავშვს თავი გასტეხია და ამის შემდეგ მთლად დაუკარგავს მუსიკალური ნიჭი, რომელიც თურმე ძლიერ ეტყობოდა ამ შემთხვევამდე; სხვა ყოველგვარი ნიჭიერება კი შერჩენია ამ ბავშვს. ასეთი ფაქტები იმის მაჩვენებელია, რომ შესაძლოა არსებობდეს ჩვენს არსებაში, განსაკუთრებული მუსიკალური ელემენტები, ცალკე შემოფარგლული სისტემა, ან განმარტოებული განყოფილება ზოგადის ფსიხიკისა. ამასაც არავინ არ უარჰყოფს, რომ შესაძლოა ესტეტიური გრძნობათა დამატკბობელი შეთვისება სინათლის ეფფექტებისა, როგორადაც, მაგალ., ცის გაწითლება ჩამამავალის მზის სხივებით, ჩასვენება მზისა ზღვაზედ, ან მთვარიან ღამით ზღვაზე ხომალდით მოგზაურობა და სხვა.

გიუო თავის „ახლანდელი ესტეტიკა“-ში ამტკიცებს, რომ ისეთის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, როგორიც არის სუნთქვა ანუ გრძნობა გემოვნებისა, ელემენტარული ესტეტიური ხასიათი აქვსო. მაგალითებრ, შეხუთულ ჰაერიდან სუფთა ჰაერზედ გამოვიდა კაცი, ან პაპანაქება ზაფხულის სიცხეში ჰქა ცივი წყალი შესვი და ისიამოვნე, ეს პირდაპირი დაკმაყოფილებაა ამა თუ იმ ესტეტიურ მოთხოვნილებისაო. ვერც იმას ჰყოფთ უარს, რომ შესაძლოა ისიამოვნო და დასტკბე იმ ხმებისა და ჰანგების მოსმენით, რომელიც რაიმე მიზეზით მოგწონთ და არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც ისეთი ნაწარმოები იმოქმედებს, როგორიც არის კვარტეტი ბეთჰოვენისა, ბალლადები შოპენისა დ სხვა. ბევრი ვერავითარ კავშირსა ვერ ისმენენ ამ ნაწარმოებთა და ცხოვრების შორის, მათი მოსმენა ვერ აკმაყოფილებს და პირს უკუაქცევენ ამ სიტყვებით: არ გვესმის, ვერ შევგვიგნიაო. ჩვენის აზრით კი, ეს იმას ამტკიცებს, რომ ამ ნაწარმოებთა გასაგებად საჭიროა უნარი წმინდა მუსიკალურის აზროვნებისა.

აი, აქ უახლოვდებით პანსლიკის ძირითადს თეორიას, მაგრამ ამ მეცნიერის მიერ წამოყენებულ თეორიის ძირითადი ტეზისები სულ სხვა გზით მიმდინარეობენ და სცდილობენ ახსნან ძალა და უნარი მხოლოდ ფრიად რიცხ მცირე თხზულებათა ზედმოქმედებისა ადამიანზედ.

შემდეგ წერილებში თანდათან დავშორდებით ამ თეორიას და ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ მუსიკას სხვა თვისებაცა აქვს, უფრო მახლობელი ჩვენთვის, უფრო ხელმისაწდომი და ძლიერი, ამიტომაც უფრო ძვირფასი, ვინაიდან უნარი მისი ზედმოქმედებისა ფართოა და ვრცელი.

ი. კარკარეთელი.

— **ბორჯომის და წაღვერის თეატრები.** მომავალ ზაფხულის სეზონის საწარმოებლათ მთავრობის მიერ გადაეცა მსახიობ ელო ანდრონიკაშვილს.

— **ელო ანდრონიკაშვილის ლექტურის კურსები** გაიხსნება პარასკევს 11 აპრილს. ვინც ჩაწერილია სთხოვენ ამ დღეს გამოცხადდნენ საღამოს 5 საათისათვის მე-7-დე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი).

— **ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭო** ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ამით აცხადებს, რომ იმ წარმოდგენასთან, რომელიც ამ ჟამად სახელმწიფო თეატრში ქართულ ენაზე იმართება და რომელიც აფიშაში უფირმოთ არის გამოცხადებული, ჩვენს კავშირსა და ჩვენს დასს საერთო არა აქვს რა.

პროვინციის ცხოვრება

ჭიათურა

12 აპრილს შაბათს საღამოს ოთხ საათზე ქ. ჭიათურაში ადგილობრივ თეატრში დანიშნულია მომხმარებელ საზოგადოების „ჩვენი ოჯახის“ წლიური კრება განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება გამგეობისა 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა 3) მოგების განაწილება, 4) მიმდინარე კითხვები, 5) არჩევნები გამგეობისა სარევიზიო კომისიისა და მათი კანდიტატებისა, 6) არჩევა სამი რწმუნებულისა და ერთი კანდიტატისა კოოპერატივთა კავშირის ყრილობაზე დასასწრებლათ.

—

ქ. სურამი.

— 3 აპრილს, ხუთშაბათს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა ქალაქის თავის და გამგეობის არჩევა. აირჩიეს: ქალაქის თავად ისევ შაქრო ხიდირბეგიშვილი (ს. დ.) გამგეობის წევრებად ნიკ. ტობაძე (ს. დ.) და ალ. მეიერი (უპარტ.) საბჭოს თავმჯდომარეთ—სარდ. მამალაძე (ს. დ.) საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგებათ: ექ. შენგელია (ნ. დ.) და გ. ოგანეზოვი (ს.დ.)

— ქ. სურამის კომისარმა—მილიციის უმფროსმა ვას. ციციშვილმა ამ დღეებში შეიპყრა ქ. ხაშურში ყაჩაღი ვანო ტაბატაძე. მას რვა თავდასხმა ბრალდება.

— მდ. სურამულაშვილაში ადგილობრ. მილიციამ იპოვა გვამი ახლად დაბადებულ ბავშვისა (მამრ. სქესის).

— ბაზარზე პურის ფასმა საგრძნობლად დაიწია. თუ წინეთ ფუთი იყიდებოდა 200 მან. და მეტად, ეხლა 100—120 მ. ფასობს, რის გამოც ბევრმა გასასყიდად ჩამოტანილი პური უკანვე წაიღო.

— შავი სახადის ეპიდემია ნელდება.

მილოში.

მრეწველობა

შაქრის დამზადება.

შაქრის დამუშავების საქმე ბორჯომის მამულებში მაღალ მთიან ნიადაგის ლეკენჩხარისაგან კარგათ მიდის. უკვე დამზადებული აქვს ამ ჟამათ 100 ფუთამდე შაქარი ამ ხიდან.

სკიპიდარის დამუშავება.

ბორჯომის მამულებში უკვე დაიწყო მუშაობა ფრანგულ სკიპიდარის გამოსახდელად.

დამფუძნებელი კრება

8 აპრილის სხდომა

თავმჯდომარე **ალ. ლომთათიძე.**

მდივნობს **კონსტ. ჯაფარიძე.**

კრება იხსნება 1 საათსა და 40 წ.

მდივანი კითხულობს კომისიებში გადასაცემ კანონ-პროექტების სიას.

რ. არსენიძე მოითხოვს, რათა საფინანსო კომისიამ პარასკევისთვის წარმოადგინოს კანონ-პროექტი მოსამსახურეთათვის ავანსის მიცემის შესახებ.

წინადადება მიღებულია.

ქ-ნი სოლოლაშვილისა მოახსენებს დამფუძნებელ კრებას საქართველოს დამფუძნებელ კრების 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვას იმ შესწორებებით, რომელიც იყო მიღებული დამფუძნებელ კრების მიერ და იმ შენიშვნებით, რომელიც შეიტანა საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ.

ხარჯთ-აღრიცხვის ჯამი შეადგენს სულ 3.223.510 მანეთს.

ხარჯთ-აღრიცხვის შემდეგ ქ-ნ სოლოლაშვილისა მოახსენებს დამფუძნებელ კრებას საბოლოო ტექსტს ახალ ციხის მაზრის შესახებ დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ დადგენილებისას.

ი. ბარათაშვილი. ჰკითხულობს დამფუძნებელ კრების რეგლამენტს მუხლობრივ 39 მუხლში ს.-დ. ფრაქციის სახელით შესწორება შემოაქვს გ. ფაღავას. შეაქვს შესწორება შესწორებით ხსენებულ მუხლს ემატება სიტყვები: **ან პირს.**

ილ. ნუცუბიძე მოითხოვს, რომ ქვორუმად 73 მუხლში მიღებული იყო 66 წევრი და არა 50.

ამის წინააღმდეგ ლაპარაკობს **კ. ნინიძე.**

წინადადება დამფუძნებენლ კრების მიერ უარყოფილია.

რ. არსენიძე მოითხოვს არსებულ კომისიებიდან მცირე კომისიების გამოყოფის საჭიროებას, რაც აუცილებელია მართვა-გამგეობის სისტემის გამარტივებისათვის. მცირე კომისიებს დაევალებათ ცენტრალ დაწესებულებების ახლო გაცნობა და ანგარიშის წარმოდგენა დამფუძნებელ კრებაში მაშინ, როდესაც სხვა და სხვა დაწესებულების შტატების განხილვას შეუდგება დამფუძნებელი კრება.

წინააღმდეგ ლაპარაკობს ლეო შენგელია (ს.-რ.), რომელიც მოითხოვს ერთ მუდმივ კომისიის დაარსებს პარიტეტულ ნიადაგზე.

ი. ბარათაშვილი (ს.-ფ.) მიზანშეწონილად მიაჩნია არსებულ კომისიებიდან მცირე კომისიების გამოყოფა, რადგან მისი აზრით ხსენებული მცირე კომისიები ვერ გაუძლვებიან კონტროლის გაწევას და კომისიებში მუშაობას. ორატორი მოითხოვს კომისიების შევსებას, თუ მცირეს პარტიათა წარმომადგენლებს არსებულ კომისიებში დარჩეთ წარმომადგენლები, ხოლო მცირე კომისიების შედგენა უნდა მოხდეს თანასწორობის პრინციპზე.

წინადადება მუდმივ კომისიის არჩევის შესახებ დამფუძნებელ კრებამ უარჰყო.

დასასრულ არჩეულ იქმნა სამეურნეო და საბიბლიოთეკო კომისიები.

შემდეგი სხდომის დანიშვნა პრეზიდიუმს მიენდო.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

10 აპრილი.

ბოლშევიკური ცნობები

ბუდაპეშტი, აპრ. 8. დღეს ყველა ათ რაიონში მოხდება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების არჩევნები, მასსის დისციპლინამ ძველ უნგრეთს სიკვდილის განაჩენი წაუკითხია. ასი ათასობით მიდიან სიხარულით არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ. ქუჩებს არაჩვეულებრივი საზეიმო ელფერი ადევს. ერთხმად გადის მუშების და ჯარისკაცების სიები. დღეს დაიწყო მოხალისეთა წითელ ჯარში მიღება. ჯარის შეკრებამ საუცხოვოდ ჩაიარა.

კიევი. 9 აპრ. უკრაინის საბჭოთა მთავრობის რადიო პროტესტს აცხადებს ჯერ კიდევ მეფის დროს მოწვეულ გერმანელ მუშების მიმართ მკაცრ და აღმაშფოთებელ მოპყრობის გამო პეტლიურას ჯარის, მოკავშირეთა სარდლობის და მოხალისეთა ჯარის მიერ. 10 აპრილიდან დაიწყება სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა და ბილეთების თავისუფალი გაყიდვა. რომ მგზავრებმა თავი არ მოიყარონ სადგურებზე, გაიყიდება იმდენი ბილეთი, რამდენიც ადგილია მატარებელში.

გერმანული პრესა

რეიხსტაგის წევრობის ვადა.

გერმანიის ეროვნულმა ყრილობამ ვეიმარში დაადგინა, რომ რეიხსტაგის წევრნი 3 წლის ვადით იქნენ არჩეულნი; წინათ 5 წლით ირჩევდენ. გადასწყვიტეს აგრეთვე შეიკრიბოს რეიხსტაგი ყოველ წლიურათ არა უგვიანეს ნოემბრის დასაწყისისა.

ქვანახშირი გერმანიაში

ქვანახშირზე ფასების აწევის შესაწყვეტათ ცენტრალურ სამინისტროს მეთაურმა ქვანახშირზე უნივერსალური ფასები დააწესა. თანახმათ მიმდინარე წლის 31 მარტის დადგენილებისა ქვანახშირის ფასების შესახებ.

რურის მაღაროს მუშათა გაფიცვა

რურის რაიონის გაფიცულმა მაღაროს მუშებმა განაცხადეს, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ გაფიცვა ბოლომდე მიიყვანონ, რათაც უნდა დაუჯდეთ ეს. მაღაროების ადმინისტრაციას ისინი უდგენენ ულტიმატუმს, რომელშიაც პასუხის მისაცემათ ნიშნავენ უკანასკნელ ვადათ პარასკევს. თუ მათი მოთხოვნილებანი არ დააკმაყოფილეს, იმუქრებიან, რომ შეაჩერებენ იმ მცირედ მუშაობასაც, რომელიც კიდევ სწარმოებს, რის გამო მაღაროს პატრონები სრულიად გაკოტრდებიან.

გერმანელები პოზნანზე

პოლონელებისაგან თავისუფალ პოზნანის გაზეთებში იბეჭდება წერილები, რომელშიც მოითხოვენ, რომ პოზნანი გერმანიას არ ჩამოართვან. თითქმის ყველა გაზეთებშია მოწინავე წერილება სათაურით: „პოზნანის ტერიტორია—გერმანიის ტერიტორია“. ყველა წერილები და გამოჩენილ მწერალთა პოემები გამოხატავენ პოზნანის გერმანელ მცხოვრებთა მტკიცე გადაწყვეტილებას, რომ მთელი ძალ-ღონით შეებრძოლებიან ყოველგვარ ცდას გერმანიისაგან პოზნანის ჩამორთმევის.

შიმშილი გერმანიაში

გერმანიის მშვიდობიან მცხოვრებთა შორის ბლოკადის გამო გარდაცვალებულთა რიცხვი გაიზარდა. ომის პირველ წელს გარდაიცვალა 88,200 კაცი, მეორე 121,740, მესამე წელს 259,635, მეოთხე—593,700 კაცი. გვეგონა რომ დროებითი ზავი სიმშვიდეს დაამყარებდა და შესწყვეტდა ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებას; ამის მაგიერად გააძლიერეს ბლოკადა და ომი გამოუცხადა მშვიდობიან მცხოვრებთ, განსაკუთრებით ქალებს და ბავშვებს, რომელთა შორის სიკვდილი ომის დასასრულ ძალიან გახშირდა.

დროებითი ზავის შემდეგ შიმშილმა კვლავ იმსხვერპლა 100000 კაცზე მეტი. სურსათის უქონლობის, ბლოკადის და მისი შედეგების გამო, ხალხს დაეკარგა ენერგია შეზარდა მუშაობა და ყოველგვარმა აგიტაციამ ნიადაგი მოიპოვა. ბრიუსელში კი გერმანიაში სურსათის შემოტანის შესახებ ისეთი ახალი დადგენილება მიიღეს, რომელიც სრულიად არ უზრუნველჰყოფს გერმანიას შიმშილისაგან. ჩვენ არა გვაქვს პური და კარტოფილი და ვიცით რომ ამ მხრივ ცოტას დაგვეხმარება ბრიუსელის ხელშეკრულება; მაგრამ თუ არ იქნა მიღებული კიდევ სხვა ზომები, მაშინ ახალ მოსავლამდე ჩვენ სრულიად არ გვექნება სურსათი და რა შედეგი მოყვება ამას, ადვილი წარმოსადგენია.

ვეიმარში ბრბომ 3000 კაცისაგან გამართა სასურსათო სისტემის საწინააღმდეგო დემონსტრაცია და შემდეგ გაემართა ბურგომისტრის ბინისაკენ, რომელიც დაპირდა გაუმჯობესებას მაგრამ განაცხადა, რომ არ შეუძლია ჩაერიოს მთავრობის საქმეებში.

მდგომარეობა ბავარიაში

ბავარიის კაბინეტის თავმჯდომარე გოფმანმა დანარჩენ მინისტრებთან ერთად კვირას დასტოვა მიუნხენი. ფიქრობენ, რომ ისინი წავიდენ ბოსბერგში, იმ მიზნით რომ იქიდან განაგრძონ მართვა-გამგეობა და მიიწვიონ ბომბერგში სეიმი. მთავრობის დასაცავად ბომბერგში გაიწვიეს მოხალისეთა კორპუსი. ფიქრობენ რომ შესაძლებელი იქნება შეზღუდონ მიუნხენის ახალი საბჭოთა მთავრობის ძალა-უფლება. ბომბერგში მთავრობას განზრახული აქვს თავი მოუყაროს ბავარიის მთავრობის ერთეულ ჯარს და მოითხოვოს უკანასკნელისაგან დემოკრატიის დაცვა.

ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკას სათავეში უდგას შემდეგი პირები: ნიკიში, ლანდაუმერი, მიუზამი, განდორფერი, დოქტორი ფრანც ლიტი და ალბერტ შმიდტი. მიუნხენში სიწყნარეა.

პოლონეთი და გერმანია.

პოლონელების მტკიცება, რომ გერმანელები მიუხედავათ დროებითი შერიგებისა განაგრძობენ პოლონელების შევიწროვებას, სინამდვილეს არ შეეფერება. მართალი კი ის არის, რომ პოლონელთა მხედრავი რაზმები თითქმის ყოველ დღე თავს ესხმიან ჩვენს ჯარს. ბუნებრივია, რომ თუ ჩვენ გვესვრიან, ჩვენც ვუპასუხებთ. თუ იყო შემთხვევა, რომ სარდლობის ნებადაურთველათ თავს დასხმიან ჩვენი ჯარი, ამისთვის დამნაშავენი სასტიკათ დაისაჯენ.

ინგლისური პრესა

მოკავშირენი და საბჭოთა მთავრობა.

ლენინმა მოკავშირეებს წარუდგინა საზავო პირობები სტეფენსის საშუალებით, რომელიც ამის წინათ მოსკოვში იყო. ამ პირობების მთავარი საფუძვლები გაზეთებში იქნება გამოქვეყნებული. ლენინი მოითხოვს დროებითი ზავის შეკვრას ვიდრე მოკავშირეთა ჯარები რუსეთში რჩებიან. ეს ბოლშევიკებს საშუალებას მისცემს სურსათი შეიძინოს საზღვარ გარეთ. (გაუგებარია). მოჰყავს დაურღვეველი საბუთები, რომ მას ეყოფა ოქრო შესყიდულ სურსათის ღირებულების გადასახდელათ და პატიოსნურად აცხადებს, რომ ის მოწყალებას არ საჭიროებს და მოითხოვს მხოლოდ, რომ სცნონ ბოლშევიკური მთავრობა დროებითი ზავის და სურსათის ყიდვის სამაგიეროთ ის თანახმაა სცნოს უცხო სახელმწიფოთა ყველა სესხები და შეძლებისა და გვარათ განაახლოს პროცენტების გადახდა შემდეგ, უკან გაიწვიოს უცხოეთის სახელმწიფოებიდან ყველა პროპაგანდისტები და შესწყვიტოს რუსეთის გარეშე უცხო სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ჩარევა. ლენინი აცხადებს, რომ ის მზადაა რაც შეიძლება მალე ჩამოაგდოს ზავი მოკავშირეებთან და განსაკუთრებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მისი მთავრობა წმინდა სოციალისტურია დ არავითარი ტენდენცია არა აქვს პროლეტარიატის ავტოკრატიისა, თუმცა უკანასკნელი იყო ბრძოლის საფუძველი. მაგრამ ახლა ყველა საზოგადოებრივ კლასებს თანასწორი უფლება აქვთ. ამავე მიზნით სმიტმა ინახულა უნგრეთი და გამორკვია უნგრეთის საბჭოთა მთავრობის მოთხოვნილებანი.

აზერბაიჯანი

ბოლშევიკები და აზერბაიჯანი.

„ნოვოე ვრემია“ იტყობინება რომ ბაქოში ჩავიდნენ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელნი სავაჭრო ურთიერთობის მოსაწყობად.

გატანილ ნავთის მაგიერ ბოლშევიკები მანიფაქტურას შემოზიდვენ აზერბაიჯანში.

აზერბაიჯანი წინააღმდეგი არ არის ამისა, მაგრამ მოლაპარაკება ჯერ არ დასრულებულა.

მთიელთა რესპუბლიკა

მოკავშირენი და მთიელთა კავშირი.

მიღებული ცნობების მიხედვით ბათუმში ბრიტანიის გენერლებმა ტომსონმა და მილნმა იქონიეს მსჯელობა მთიელ ხალხთა შესახებ, რომლების წინააღმდეგ ომს აწარმოებს მოხალისეთა ჯარი. თათბირის შედეგი ასეთია: თემირ ხან-შურაში ბრიტანიის ყოფილ მისიის უფროსს წინადადება მიეცა დაბრუნდეს პეტროვსკში და თემირ ხან-შურაში. გენერალი მილნი ეკატერინოდარს გაემგზავრა.

მთიელთა მზადება.

ბაქოში დიდძალი მთიელობა ეწერება პარტიზანებად მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ. მთელ დაღესტანში და საჩეჩნეთში დიდი აღფრთოვანებით ეწერებიან ჯარში, რომელიც თავგანწირვით მიდის ბრძოლის ველზე.

ახალი კაბინეთი

გაზ. „აზერბაიჯანს“ თემირხანშურიდან ატყობინებენ რომ კოცევის მიერ შედგენილ მთიელთა მთავრობის ახალ კაბინეთში აირჩიეს:

სამხედრო და საზღვაო მინისტრად გენერალი სალსაგოვი (ჩაჩანი), ვაჭრობა-მრეწველობის, სასურსათო და ფინანსების მინისტრად ბუტაევი (მართლმადიდებელი ოსი), გზათა მინისტრად ზუბაირ თემირხანოვი (ლეკი), სახალხო განათლების—ნურ მაჰამედ შაჰსუვაროვი, შინაგან საქმეთა და მინისტრთა თავმჯდომარედ ჰემბახო კოცევი (ყაბარდოელი); შარიათის საქმეთა უფროსად არჩეულ იქნება ნუეშდენ ეფენდი [illegible].

სახელმწიფო კონტროლიორს პარლამენტი არჩევს და იგი მინისტრთა საბჭოში არ შედის.

პარლამენტის თავმჯდომარედ არჩიეს რაშიდ ხან ყაფლანოვი, თემირხანოვის მაგიერად რომელიც გზათა სამინისტროს ჩაჰბარდა.

სომხეთში

გენ. ტომსონის აზრი ყარაბაღზე.

მარტის 28-ს ტიფლისში ჩავიდა გენ. ტომსონი და ხანგრძლივი მოლაპარაკება იქონია სომხეთის მთავრობასთან. მან განაცხადა რომ ყარაბაღის საკითხი გამომდინარეობს [illegible] ლტოლვილთათვის სურსათის მიწოდების შესაძლებლობიდან.

მისი აზრით იმისთანა მომავალი ადგილებზე, როგორიცაა ადამია (ელაბ-შუშის შარა გზაზე) სურსათის გატარება [illegible] მხოლოდ [illegible] ქვათ [illegible] როვია.

ეს სრულებით არა სწყვეტს ტერიტორიის საკითხს. დღესდღეობით [illegible] წარმომადგენელი [illegible] გულებაში მყოფი [illegible].

მაჰმადიანთა ნაწილები, რომელიც აგდამში და ხენენ-დაბში არის დაბანაკებული ვერც რიცხვით გაიზრდებიან და ვერც ადგილს იცვლიან. მათ დავალებული აქვთ მხოლოდ ანდრანიკას უგდონ ყური.

ინგლისის წარმომადგენელთან თუნდა სომეხთა წარმომადგენელიც დანიშნეთო.

ზანგეზურის მმართველობა.

ზანგზურს დღეს მართავს ეროვნული საბჭო ინგლისელებთან ერთად. ტომსონი იმ აზრისაა რომ ეს ესე დარჩეს პარიზის კონფერენციის გადაწყვეტილებამდე.

მაჰმადიანთა და ინგლისელთა შეტაკების დაწვრილებითი ცნობა.

ყარსიდან სომხეთისკენ გასულს, ხორბლით დატვირთულ 7 ვაგონიან მატარებელს, თავს დაესხა მაჰმადიანთა ბრბო და არ უშვებდა მას სომხეთში.

როცა საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო ინგლისელმა ოფიცერმა რევოლვერით მოჰკლა ვაგონზე ჩამოკიდებული ერთი მაჰმადიანთაგანი. ბრბო გაემართა ახლობელ იარაღის საწყობისაკენ, დაანგრია იგი, გამოიტანა იარაღი და იარაღით ხელში მივარდა მატარებელს.

გამოიწვიეს ინდოთა ცხენოსანი ჯარი, რომელმაც 7 კაცის მოკვლის და 15 დაჭრის შემდეგ ბრბო გაჰფანტა.

შეტაკების ადგილზე მოვიდა ინგლისის გენერალ-გუბერნატორი რომელმაც მოსთხოვა ბრბოს 3 წუთში დაშლილიყო, თორემ ყველას დაგხოცავთო. ბრბო დაიშალა.

ინგლისის წარმომადგენელმა მოსთხოვა ყარსის მთავრობას ინგლისელების წინაშე ბოდიში მოიხადოს.

სომხეთის პარლამენტში.

სომხეთის პარლამენტში მიიღეს კანონ-პროექტი რომლის ძალითაც სათეს ხორბლის შესაძენად გადადებულ იქმნა 50 მილიონი.

რადგან ამერიკიდან და ჩრდილო-კავკასიიდან ხორბლის შემოზიდვის იმედი აღარაა, ამისათვის ეს ფული დაურიგდებათ სოფლის საზოგადოებებს, რომლებიც საიდანაც უნდათ იქიდან შეიძინენ სათესლე ხორბალს.

ბოლო ხანებში სოფლელებმა ხორბალი შეიძინეს სურმალუში.

სასოფლო მეურნეობა

აბრეშუმის თესლის მიღება

ნატანების საბჭომ სტამბოლიდან მიიღო აბრეშუმის თესლი დაახლოებით 20000 კოლოფი.

პრაქტიკული სკოლა სკრაში

გორის მაზრის სოფ. სკრაში მალე ხანში გაიხსნება პრაქტიკული სკოლა მებაღეობის, მებოსტნეობის და ხილის ტეხნიკურ დამუშავების შესასწავლად. სკოლის გამგედ მიწვეულია ედილაშვილი.

ალაიანის სანერგე

მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებით ალაიანის ამერიკულ ვაზის სანერგე გორის სამაზრო ერობას გადაეცა.

შამპანიურის და კონიაკის დამზადება

მიწად-მოქმედების სამინისტრომ მიიღო ზომები შამპანიურისა და კონიაკის დამუშავების გასაძლიერებლად. ამ მიზნით კიდეც შეუდგა შულავრისა და საქარის სანერგის ღვინოების გადამუშავებას.

ცხენების მოშენება

თბილისის ცხენების სამოშენებლო ქარხანა განზრახულია გადაიტანონ სახალხო ფასიან მამულში, ბორჩალოს მაზრაში, სადგურ სანდართან ახლო.

ფასები ყოფილ საუფლისწულო მამულების ღვინოზე

ფასები ყოფილ საუფლისწულო მამულების ღვინოზე სამინისტრომ ასწია. ვედრო ღვინო წინანდალში 125 მან. უჭურჭლოთ და 135 მან. ვედრო უჭურჭლოთ თბილისის ცენტრალურ სარდაფში.

ახალციხისა და ახალქალაქის გლეხთა საბჭო

ქ. ახალქალაქი, აპრილის 9. ახალქალაქის გლეხთა საბჭომ აპრილის 6 სხდომაზე დაადგინა: რადგან დადგა დათესვის დრო, რომელიც უნდა გათავდეს 1 მაისს, ეთხოვოს საქართველოს მთავრობას რაც შეიძლება მოკლე ხანში მიაწოდოს მცხოვრებთ და და ლტოლვილთ სათესი ხორბალი და ან მისცენ საშუალება შეიძინონ ის. ხორბლის შესაძენის ერთ საშუალებათ საბჭო სთვლის მთავრობამ ინგლისის და ამერიკის მისიებს დახმარება სთხოვოს ხორბლის შესაძენათ, ან სყიდვით და ან ოსმალების მიერ ლტოლვილთათვის ჩამორთმეულ და ხალციხიდან არდაგანის ოლქში გაზიდულ რამდენიმე მილიონი ფუთი ხორბლის მაგიერის მიცემით.

—

ახალციხე, ახალციხის მაზრის მიწის მუშათა დეპუტატების საბჭომ აპრ. 7. სხდომაზე დაადგინა ეთხოვოს მთავრობას ფოცხოვი გაწმენდილ იქმნას ყველა მავნე ელემენტებისაგან, რომლებიც თავიანთ ბატონობის შესანარჩუნებლათ არავითარ პროვაკაციულ საშუალებას და ძმათა შორის სისხლის ღვრას არ ერიდებიან 2) ეთხოვოს მთავრობას დაუყონებლივ გამოგზავნოს მიწის მიმღები კომისიები ვინაიდან მთელი მაზრის მიწის მუშები დაჟინებით მოითხოვენ მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარებას, 3) ვიღებთ რა მხედველობაში, რომ დამფუძნებელ კრებას დიდი პოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ტ განსაკუთრებით მშრომელ ხალხისთვის, ჩვენ კი შევადგენთ განუყოფელ ნაწილს საქართველოს დემოკრატიისას, ჯერაც არ მიგვიღია არჩევნებში მონაწილეობა ოსმალეთის ემისრების, ზოგიერთ ბეგების და ავანტიურისტების წყალობით. ამიტომ ეთხოვოს მთავრობას ჩვენც მოგვცეს საშუალება არჩევნებში მონაწილეობის მიღებით ქვეყანას ვამცნოთ, თუ რა გვსურს ჩვენ, რის შემდეგ ძალა-უნებურათ უნდა დადუმდენ ყველა ჩვენი მოღალატენი. 4) ეთხოვოს მთავრობას მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს ახალციხის მუშათა საბჭოს, რადგანაც ამ ჟამათ მრავალი სამუშაო აქვს და უსახსრობით ბრკოლდება.

ქართ. სამუსიკო საზოგადოება

31 მარტს, ორშაბათს ქართ. სამუს. საზ. მორიგ კრებაზე მოხსენება წაიკითხა ილ. აბაშიძემ. კრებამ მიიღო ი. აბაშიძის შემდეგი რეზოლიუცია:

ქართ. სამუს. საზოგადოებას მიზნად აქვს დასახული:

1. შეაგროვოს ქართული ჰანგები, შეამუშავოს, მისცეს ქართველური თვისება და დაახლოვოს საქართველო ევროპასთან. ამასთანავე, მიაჩნია, რომ ეროვნულ შემოქმედების ეტნოგრაფიულ ხასიათით მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, რომელსაც დიდი ინტერესი აქვს მიქცეული, მაგრამ თავის საზღვრებს ვერ გასცდება რადგან შემოფარგულია ადგილობრივ ფერადობით. ამისათვის, თუ ქართულ მუსიკის ხელოვნებას უნდა მოიპოვოს საერთაშორისო ასპარეზი, საჭიროა გაფართოვდეს შემოქმედების ფარგლები. მაშასადამე, გარდა ადგილობრივ-ეტნოგრაფიულ სტილთან, შეიარაღებულ ცოდნით, რომელსაც უნერგავს მუსიკალური ტეხნიკა და ევროპიული მეცნიერება, შეუფარდოს ეს ტეხნიკა ქართულ მუსიკას.

2. ქართ. სამუს. საზოგადოება აუცილებელ საჭიროებად სცნობს გაავრცელოს ხალხში ჯანმრთელი მუსიკა.

3. ქართ. სამუს. საზოგადოება აღნიშნავს, რომ თუ დღემდის ხელოვნების ეს დარგი მიყუჩებული იყო, ეხლა ჩვენმა მთავრობამ საჩინადო ყურადღება კიდეც მიაქცია და რადგან საქართველოს ერთად-ერთ უმაღლესს სამუსიკო ორგანოს შეადგენს ქართ. სამუსიკო საზოგადოება ამისათვის დაადგინა:

1. რაიმე სამუსიკო კითხვის გადასაწყვეტად აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მოწვეულ იყვეს ქართ. სამ. საზოგადოების გამგეობა როგორც ერთად-ერთი საქართველოს კომპეტენტური დაწესებულება.

2. ქართულ სამუს. საზოგადოებას უნდა ექვემდებარებოდეს ყოველი მუსიკალური ვითარება ყველა დარგის სასწავლებლებში.

3. ქართ. სამ. საზოგადოება უნდა განაგებდეს ოპერის შემადგენლობას, სიმფონიურ, სხვა დარგის მუსიკის ორგანიზაციას და საერთოდ ხალხის სამუსიკო-კულტურულ განვითარებას.

4. ქართ. სამ. საზ ბას უნდა ჰყავდეს თავის წარმომადგენელნი დამფუძნებელ კრების „ხელოვნების კომისიაში“, რომელნიც მოწვეულნი იქნებიან კოოპტაციის ძალით.

ეს მოხსენება მიერთვა „ხელოვნების კომისიას“ დასამტკიცებლად.

ქართულ კლუბის წლიური კრება

კვირას, 6 აპრილს ქართულ კლუბის წევრთა წლიური კრება შესდგა. კრებას მოხსენდა წარსულ 1918 წლის ანგარიში. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს ქართულ კლუბის 1919 წ. 1 იანვრის ბალანსი უდრის 401345 მან. 15 კაპ, კლუბის შემოსავლის უმთავრეს წყაროდ სათამაშო ქაღალდი ყოფილა, რომელსაც მიუცია 537,299 მან. შემდეგ სტუმართაგან გადახდილი თანხა, რომელიც უდრის 197002 მ. წარმოდგენა კონცერტ და სხვა გასართობებს მიუცია 70839 მან. მუდმივ მოსიარულეთა გარდასახადს 11278 მ: მთელი ჯამი შემოსავლისა უდრის 881126 მ. 16 კ. მთავარი ხარჯები კლუბისა ყოფილა განათება და გათბობა, რომელიც დამჯდარა 107539 მ. 91 კ. წარმოდგენა კონცერტებსა და გასართობებზე დახარჯულა 97035 მ. 30 კ. მთელი ხარჯები კლუბისა გასულ წელს უდრის 797740 მან. ამნაირათ 1918 წელს ქართულ კლუბს მოგება ჰქონია 83386 მან. 11 კაპ.

1919 წლის შემოსავალ გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 600800 მანეთი კრებამ დაამტკიცა, როგორც გასულ წლის ანგარიში, აგრეთვე მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა. წმინდა მოგების თანხიდან კრებამ სხვა და სხვა საქველმოქმედო და საზოგადო დაწესებულებათა დასახმარებლათ გადასდო 65000 მანეთი.

ამ თანხის განაწილება მამასახლისთა საბჭოს მიენდო.

კრებამ მუდმივ მოსიარულეთა და ახალ წევრთა არჩევის შემდეგ ახლად აირჩია მამასახლისთა საბჭოს წევრნი. კენჭი უყარეს სულ 13 პირს. მათ შორის კლუბის მამასახლისებად აირჩიეს: ვლ. სალარიძე, ნ. წვერავა, ილ. მაყაშვილი, ნ. ერისთავი, პ. ქავთარაძე, პ. სურგულაძე, დ. მონასელიძე, ნ. მღვდლიშვილი, ს. ყიფიანი, ექიმი მ. კილოსანიძე და დ. გაბაშვილი. მათ კანდიდატებად: ასათიანი, დგებუაძე, კვინიხიძე, ნიჟარაძე, ქართველიშვილი და რატიშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად ისევ ძველი შემადგენლობა დარჩა.

ბიბლიოგრაფია

პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი I. ფასი 15 მ. ქ. ქუთაისი, 1919 წ. თ. მთავრიშვილის ამხანაგობის გამოცემა (218 გვ.).

ამ დროს, როდესაც ყოველგვარი სამეცნიერო გამოცემა შესწყდა ჩვენში, ზემო ნაჩვენები წიგნის გამოსვლა სასიამოვნო და თვალსაჩინო საქმედ უნდა ჩაითვალოს. ი. ჯავახიშვილი კარგად მომზადებული მკვლევარია ჩვენი წარსულისა. ამ ოცდა-ათი წლის განმავლობაში თბილისის და პეტროგრადის მუზეუმთა წყალობით დიდი მასალა შეგროვდა, ბევრი შესანიშნავი წყაროები და ძეგლები აღმოჩნდა და დაისტამბა. ი. ჯავახიშვილი საიმისოდ მასალების გამოცემამ არ გაიტაცა, უფრო კვლევა-ძიება დაისახა მიზნად და ძეგლების კრიტიკულად განხილვა. ეს ჩვენთვის დიდი ბედნიერებაა, ვინაიდან ი. ჯავახიშვილს ნიჭიც შესწევს და უნარიც კვლევა-ძიებისა. მას ეკუთვნის ისეთი შრომანი, როგორიც არის „ქართული ერის ისტორია“, „მიზანი, წყაროები და მეთოდები ისტორიისა წინად და ეხლა“, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ და სხვ. ამავე დარგს ეკუთვნის ახლად გამოსული წიგნი „ქართული სამართლის ისტორია“, თხზულება გვიშუქებს საქართველოს შინაგან წესწყობილებას, რაც ნაკლებად ვიცით. წიგნი შეიცავს შემდეგ თავებს: საქართ. სახელმწიფოს მიწა-წყალი, საქართველოს მკვიდრნი და მოსახლეობის ერთეულები, საზოგადოებრივი და წოდებრივი დანაწილება, მმართველი წრეები, ბატონ-ყმობა, მოხელენი და მოხელეობა, ვაზირები, მწიგნობართ-უხუცესი, ამირ-სპასალარი და მისი სახელი, მანდატურთ-უხუცესი და მისი სახელო, მსახურთ-უხუცესი და მისი ხახელო, მეღვინეთ-უხუცესი და მისი სახელო, ტყის მცველთ-უხუცესი და ტყის-მცველნი, ვაზირობა, საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი. წინასწარ ცნობაში ავტორი გვამცნებს, რომ მისი გამოკვლევა იწყება საქართველოს გაერთიანების პირველ ხანიდან და განსაკუთრებით უკვე გაერთიანებულ სრულიად საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებას ეხება, წინა ხანის სხვა და სხვა დაწესებულებათა ისტორია კი მხოლოდ იმდენად არის განხილული, რამდენადაც წყაროები მკვლევარს ამის საშუალებას აძლევდა. წიგნში განმარტებულია თითოეული ტერმინი, მოყვანილია მაგალითები, თუ რა მნიშვნელობით იხმარებოდა ძველ ქართულში ესა თუ ის ტერმინი-სიტყვა და ნაჩვენებია წყაროები. თავის თავად ცხადია, ყველა სახელწოდება ერთგვარ სინამდვილით არ შეიძლება იყოს ახსნილი, ზოგი რამ გამოურკვეველი რჩება, ზოგი კიდევ მეტს დასაბუთებას მოითხოვს.

მაგრამ უმეტესი ნაწილი მეცნიერულად არის დასაბუთებული და ჯეროვანად განმარტებული. ეს დიდ სიამოვნებას და კმაყოფილებას იწვევს მკითხველში. გამოურკვეველი რჩება, რა მოხელენი იყვნენ ჩუხჩარახი, ციცხვი, ოთხმისდურნი ანუ ოთხი მესდურნი. უკანასკნელნი. გარდა მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნის სიგლებისა, რომელსაც ავტორი უჩვენებს, მეცამეტე საუკუნის სიგელშიაც გვხდება (იხ. საქართველოს სიძველენი) II, გვ. 7). ამას გარდა ეს სახელი ტერმინი გვარადაც გადაქცეულა, ოთხმოზურები ეხლა გურიაში ცხოვრობენ. გადამეტებულად მიგვაჩნია ჩვენ თქმა „ყველა გამოქვეყნებული სისხლის სიგელი საეჭვო ღირსებაა და ყალბი უნდა იყოსო“ (გვ. 104). საეჭვოდ შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი სასისხლო სიგელები, როგორიც არის სიგელი იაკობიძეთა, თოფურიძეთა, გელოვანებისა და ყიფიანთა (საქ. სიძ. II), მაგრამ ეჭვს გარეშეა სინამდვილე ისეთი სიგელებისა, როგორიც არის სიგელი ჟურულისა (საქ. სიძ. I), კვიტაშვილთა (საქ. სიძ. III), გამყრელიძეთა (საქ. სიძ. II) და სხვა, რომლებიც ხელმოწერილნი არიან ცნობილნი მეფეების მიერ და მათი ხელის მოწერა ისეთივეა, როგორც სხვა უტყუარი მათივე სიგელებისა. ამას გარდა ჟურულისა და კვიტაშვილთა სიგელებზე დახატულია სიგელის მიმცემი გიორგი მეცხრე, უკანასკნელზე დადიან-გურიელითურთ არ ვიზიარებთ აზრს, ვითომც ჰყონდიდის საყდარი გიორგი აბხაზთა მეფეს აეშენებინოს (გვ. 127). გიორგი აბხაზთა მეფეს მარტო დასავლეთის ეკუდერი ანუ სანათლო აუშენებია მეათე საუკუნეში, თვით ტაძარი კი მეშვიდე-მერვე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს (იხ. ე. თაყაიშვილის არქეოლოგიური მოგზაურობანი II, გვ. 41—42). ვრცელი ადგილი უჭირავს წიგნში და საუკეთესოდ ჩაითვლება თავი პატრონ-ყმობის შესახებ საქართველოში (გვ. 63—110). ავტორი ადარებს ქართულ ბატონყმობას დასავლეთ-ევროპის ფეოდალურ წესწყობილებას და ბევრ თვალსაჩინო მსგავსებასთან ერთად არსებით განსხვავებასაც პოებს. ეს განსხვავება გამოიხატა იმაში, რომ საქართველოში სახელმწიფოსა და ყველა ქვეშევრდომს შორის კავშირი და პირდაპირი დამოკიდებულება შეწყვეტილი არ ყოფილა და სახელმწიფოსამართლის ორი უზენაესი გამოხატულება, მართლმსაჯულებისა და გადასახადების გაწერისა და აკრეფის უფლება, — მეფეს მტკიცედ ეპყრა“ (გვ. 104). მეორე ნახევარი გამოცემისა შეიცავს მოხელეთა და მოხელეობის განხილვას (გვ. 110—218). ერთ უმთავრეს წყაროს ავტორისას აქ შეადგენს „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომლის ფრიად საყურადღებო ცნობები სავსებით ამოუწურავს მკლევარს. ის უჩვენებს გვერდებს და სტრიქონებს გამოცემისა, მაგრამ ეს წიგნი ჯერ არ გამოსულა და გამოკვლევიდან არა სჩანს, თუ რა საშუალებით უსარგებლია ავტორს. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ მას ხელში აქვს კორექტურის ფურცლები გამოცემისა, რომელსაც ე. თაყაიშვილი ბეჭდავს პეტროგრადის სამეცნიერო აკადემიის საშუალებით, მაგრამ ის კორექტურის ფურცლები, რომელიც მკლევარს ჰქონია ხელში, საბოლაო არ არის. ჩვენ გვაქვს ეხლა შემდეგი შესწორებული კორექტურა და ეს რამოდენიმეთ განირჩევა იმისაგან, რითაც ავტორი სარგებლობს. ამას გარდა მთელს წიგნში ჩვენ ერთხელაც ვერ ვნახეთ ვახუშტი ბატონიშვილის შრომიდან ამოღებული ცნობები, ხოლო ვახუშტის „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსნი“ უყურადღებოთ დასატოვებელი არ იყო მკლევარის მიერ, მით უმეტეს, რომ ვახუშტის, როგორც სჩანს, სცოდნია „კარის გარიგება“ და ზოგი რამ ისეთი შეუნახავს, რაც „კარის გარიგებაში“ არ შენახულა ფურცლების დაკარგვის გამო. ეს ეტყობა ვახუშტის უმეტესად ჰყონდიდელის ფუნქციების ჩამოთვლის დროს. დასასრულ ვისურვებთ, რომ მალე გამოვიდეს მეორე წიგნიც ამ საუცხოვო შრომისა და მით დამთავრებული საფუძველი ჩაეყაროს საქართველოს შინაგან ცხოვრების შესწავლას. შემდეგ ასეთი კლევა-ძიება გაღრმავდება და ისეთ საკითხს როგორიც არის ქართული ბატონყმობა და დასავლეთის ფეოდალიზმი მთელი ტომები დასჭირდება. მადლობის ღირსია აგრეთვე თ. მთავრიშვილის ამხანაგობა, რომელმაც მოახერხა ამ მშვენიერ გამოკლევის საკმაოდ ფაქიზად გამოცემა.

მკითხველი.

კორესპონდენცია

წერილი მთიდან.

დადგა გაზაფხული და მესაქონლეთაც მძიმე ფიქრი მოადგათ—სად გარეკონ საქონელი საგაზაფხულოდ მთელი თუშ-ფშავ-ხევსურეთი და ქიზიყის ნაწილი მესაქონლებით ირჩენს თავს. ომმა მათ დიდი ზარალი მიაყენა მაგრამ დიდი ზარალის მომცემი ისევ მეზობელი ხალხია—მოსაზღვრე ქისტები და ლეკები რევოლუციამდე მათგან მოსვენება არ გვქონდა. ზაფხული არ გავიდოდა რომ რამდენიმე მწყემსი არ ემსხვერპლათ და რამდენიმე 1000 სული საქონელი არ გაერეკათ. ახლა ხომ მოსვენება არ გვაქვს, ამიტომ დაშინებული ხალხი ჰყიდის საქონელს და თავს ანებებს ამ სიმპატიურ საქმეს. ამის გარდა მთიელნი თავს ანებებენ სახლებსაც და ბარისკენ მოეშურებიან. ვერ იქნა ვერ გაკეთდა თავდაცვის საქმე. შარშან თითქოს თუშები გაანთავისუფლეს სამხედრო ბეგარისაგან რათა თვითონვე დაეცვათ თავისი თავი, მაგრამ ხალხს იარაღიც არ მიუღია დღემდე. მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია ამ კუთხეს და მის თავგასულ კომისარებმა ხო მთლად აწეწეს პროვინციის საქმეები. აქ იყო რომ თავხედი ქცევით ბ-ნ მენთეშაშვილმა (თიანეთის კომისრად იყო) წაიყვანა თუშ-ფშავ-ხევსურები და ხელში მისცა ქისტებს ეს ამბავი დროზედვე იყო აღნიშნული მაგრამ ვინ ამოიღო ხმა? მთავრობის უყურადღებობით უნდა აიხსნას შემდეგი მოვლენა; შარშან ქისტებისგან შეწუხებული თუშთა სამი საზოგადოება ჰსთხოვდა მფარველობას ვინმე ლეკს ნაებუდინს და შის სარდალ მუსა-ჰაჯის. ამასთანავე დაუდო პირობა ეძლიათ თუშებს განსაზღვრული გადასახადი—ფულით ხარჯით და ჯარით, თუ ლეკები მათ ქისტებისგან დაიფარავდნენ.

რით გათავდა ეს საქმე არ ვიცით, ერთი კი ცხადია რომ ჩვენში არა ჰსჩანს ჩვენი მთავრობის მომქმედება.

აქეთ არის სოფლები, რომელნიც იხდიან ხარჯს ქისტების სასარგებლოდ. მაგრამ რა უჭირდა ხალხს რომ ქისტები გადასახადს ჰსჯერდებოდნენ. ისინი მაინც ყაჩაღობენ და მოსვენებას ხომ არ აძლევენ. გულჩათხრობილი დადის ბარში მყოფი მეცხვარე, წარსული აგონდება და სჩივის რად არ იფარავს მას მთავრობა თუ კი სადმეა იგი. ასე თავმინებება ამ კუთხისა საკვირველია. საოცარია ისიც, თუ საზღვრების საკითხი, რად ჰსწყდება ჩვენში ასე ზერელედ? ვის ეკუთვნის ზოლი საზღვრისა ქისტებით და ლეკებით დასახლებული რომელიც ძველად თბილისის გუბერნიაში შედიოდა. ვის ეკუთვნის—ეს ბუდე ყაჩაღებისა, მათ ჩვენი მთავრობა არ ჰსწამთ. ეს დამტკიცდა შარშანაც როცა არჩევნებზე მომუშავენი არ მიიღეს და თუ ჩვენ არ გვეკუთვნიან, რატომ არ მოელაპარაკება მთავრობა მთიელთა მთავრობას. თუ შარშან მოუწყობელი იყო სახელმწიფო, და მხოლოდ იმით განისაზღვრებოდა დახმარება, რომ ხალხისგან გამოგზავნილ დეპუტაციას ყველაფერს ჰპირდებოდა მთავრობა და საქმით კი არაფერს უკეთებდა, ეხლა საკმარისი დრო გავიდა ჩვენი დამოუკიდებლობის ზრდისა რომ მთავრობა აუდიოდეს თავის ტერიტორიაზე მოქმედ ძალებს. თორემ იქნება არც ისე შორს ამ ზვიად მთებშიც გაისმას მეამბოხეთა ზარბაზნების გრიალი?

თუში

კვირას, აპრილის 13-ს, დილის 10 საათზე სჩაიე

ძმურ ნუგეშში

დანიშნულია წლიური კრება. განსახილველი საგნებია: 1. ანგარიშების განხილვა, 2. არჩევნები გამგეობსა და 3. არჩევნები სარევიზიო კომისიისა.

1—2267—1

მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო სალ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—სალ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა სალ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო სალ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსისკენ — ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან — თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა სალ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო სალ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა სალ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბაქოდან

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

თბილისსა და მცხეთის შუა

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის— ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1

7—92.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის ალექსანდრე დავითის ძის

ბეგილიანი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

ე. ა. მონსე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—35

სტამბა [illegible], გაზეთის შესახვევი № 4.